

# საგაზეთო

საქართველოს  
პრეზიდენტი  
მიხეილ სააკაშვილი

საერთაშორისო გაზეთი

შაბათი 26 ივნისი 2004 №145 (2166)

ფასი 50 თეთრი

## ეს ძალიან ჰგავს რევოლუციას ანუ უკანანი წინ



რეჟალმა  
ბერძნებს ხალი  
მითი აჩუქა:  
საბერძნეთი  
ნახვარფინალშია



საგაზეთო  
საქართველოს  
პრეზიდენტი  
მიხეილ სააკაშვილი





შაკ სანტინი

ეს ძალიან სამწუხაროა, ჩვენ ფინალში გასვლას ვეძიებოდით. ნამდვილად არ მეგონა, რომ ჩემპიონატი ჩვენთვის ასე დასრულდებოდა. საჭირო მომენტში გუნდს ფორვარდები მივაშველე, მაგრამ ისინი საუკეთესო ფორმაში არ იყვნენ.

საფრანგეთი

25 ივნისი  
მართლაც ფინალი  
ლისაბონი. 19:00 ალვალადა

საბერძნეთი

0:1 ხარისტიასი (65)

16 ბარტუზი

15 ტურამი	13 სილვესტრი
5 ბალასი	3 ლიზარაზუ
17 დაკური	6 მაკელაუ
10 ზიდანი	7 ჰირსი
20 ტრეზეგე	12 ანრი

მწვრთნელი: ჟაკ სანტინი

შეცვლა  
ტრეზეგე — 9 საჰა (72), დაკური — 11 ვილტორდი (72), პირესი — 14 როტენი (79)

1 ნიკოპოლიდისი

19 კასინი	5 დელასი
2 სეიტარიდისი	14 ფისასი
7 ზაგორაკისი	6 ბასინასი
20 კარაბუნისი	11 ნიკოლაიდისი
21 კაცურანისი	
9 ხარისტიასი	

მწვრთნელი: ოტო რეჰაგალი

შეცვლა  
ნიკოლაიდისი — 23 ლაკისი (61), ბასინასი — 10 ცარტასი (85)

გაფრთხილება: კარაგუნისი (6), ზიდანი (44), ზაგორაკისი (50), საჰა (86)  
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი). 45 390 მაყურებელი  
ჯარიმა: 24-14; კუთხური: 3-3; კარისკენ დარტყმა: 6-0; კარში დარტყმა: 7-5; თამაშგარე: 0-1




ოტო რეჰაგალი

ეს ამბავი მთელ მსოფლიოს შემოივლიდა. ვულოცავ ჩემს ფეხბურთელებს ამ დაუჯერებელ გამარჯვებას, რომელიც დაიმსახურეს. მათ შესრულეს ის, რაც დავავალე. ახლა ჩვენ შეგვიძლია მომდევნო მატჩზე ვიფიქროთ, რადგან გვიხარია, რომ ჯერ კიდევ აქ ვართ და, სულ მცირე, კიდევ ერთი თამაში გველის.

# რეჰაგალის თეორიები

## იყო და არა იყო ზიდანი და აღარ იყო საფრანგეთი



მეორეა ახალი ჩემპიონი ეყოლება — ბერძნებმა დეზებგაცვეთილი „მამლები“ ქანდარიდან ჩამოსვეს. ამკარად დაბრუნებულმა საფრანგეთის ნაკრებმა გუნდს ჩუმად, უხმაუროდ და ძალიან უპრეტენზიოდ წააგო.

დრონი მეფობენო, ჟაკ სანტინი კი არა, ემე ჟაკე და როჟე ლემერიც რომ მიეყვანათ ფრანგებს, ვერაინ დაუბრუნდებდათ 1998 და 2000 წლებს.

ხელებზე ნიკაპამოდებულმა მიშელ პლატინიმ სევიანი მზერა გააყოლა გასახდელისკენ მიმავალ თანამემამულეებს და ზიდანს, რომელმაც ბურთითაც ვეღარ გააკეთა ის, რასაც, პლატინის თქმით, მარადონა აკეთებდა ფორთოხლით. ხოლო ჟაკ სანტინის ამ გუნდით სურდა ევროპის ჩემპიონატის მოგება. არადა, ესენი

ზომ ორი წლის წინ კორეა-იაპონიაში ჯგუფში ჩარჩნენ.

აღრე იყო ზიდანი, იყო თამაშიც და გოლებიც. გუნდს აღარ იყო ის ზიდანი, რომელსაც ნიკაპიდან ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა. ტურამმაც მხოლოდ ერთხელ ჩაირბინა ისე, როგორც ზორვატებთან 1998-ში, მაგრამ საფრანგეთის ნაკრების მესაფლავე წუხელ ოტო რეჰაგალი და მისი საბერძნეთის ნაკრები გახდა. ელინებმა გერმანული სიზუსტით და ერთგვარი სიღინჯით აკეთეს ის, რაც დავალებული ჰქონდათ.


ბერძნებმა მეორე ტაიმში ერთხელ დარტყეს კარში და გაიტანეს. ზაგორაკისმა მარჯვენა ფლანგზე გააბითურა ბიქსენტ ლიზარაზუ (არადა, ბასკი წუხელ ყველა თანაგუნდელზე მეტად თვალგაბნეული იყო), კარის წინ ხარისტიასს ბურთი თავზე დაასვა და „ვერდერის“ ფორვარდმა ბარტეზი ზაზზე გაშეშებული დატოვა.

სიმბოლურია ალბათ, რომ გოლი გაიტანა იმ გერმანული გუნდის ფეხბურთელმა, რომლის მწვრთნელობისასაც ოტო რეჰაგელმა დიდ წარმატებებს მიაღწია.

პორტუგალია — ინგლისის მატჩის მნახველებს გუმინდელი ფეხბურთი გულეებს დაუძმარავდათ. პირველი ტაიმი მიქნარებას იწვევდა და ისევე ბერძნების აქტიურობა რომ არა, მილისპირულად გადაიქცეოდა.

ფრანგებმა მთელი მატჩი ისე გალიეს, რომ ერთი საჯარიმო დარტყმაც კი ვერ შეასრულეს. მეტოქე ძალიან ფრთხილად თამაშობდა საკუთარ ნახევარზე, რადგან ინგლისთან ზიდანის საჯარიმოდან გატანილი გოლი ახსოვდათ.

„სამფეროვანთა“ ფორვარდებს შეტევამ არაფერი გამოსდიოდათ. ამიტომაც იყო, რომ ერთხელ ლიზარაზუ შევარდა მეტოქის საჯარიმოში, თუმც დარტყმა ვერ შეძლო, შემდეგ კი იგივე გალასმა გაიმეორა. ხოლო





REUTERS ლისაბონიდან

ანრი, ბურთს კი არ ურტყამდა, მშორი კაცივით უცაცუნებდა ფეხს.

შეცვლაზე შესულ ლუი საჰას, სილვენ ვილტორდს და ფერომ როტენსაც დიდად არ შეუწუხებიათ ბერძენი მცველები, რომლებმაც მათემატიკური სიზუსტით ათვისეს საკუთარი კარის მისადგომები. ელინებმა თითქოს იგრძნეს ფრანგთა უსუსურობა და მატჩის მიწურულს კონტ-

რმეტევაზე მათი გამოჭერაც კი არ უცდიათ.

ბოლოს კი იყო კონტად თამაშერეჟილი ოტო რეჰაგელის ბალღივით სირბილ-სიხარული, ვინმელო, გერმანელმა მოგვიანებით სირტაკიც კი წაუცეკვა შეგირდებთან ერთად. ბებური ხარის რქებიც ხნავენო და რეჰაგელი ეგებ გულში ფინალზეც ფიქრობს.



REUTERS ლისაბონიდან

წარწერის ისტორია: გამარჯვების გოლის გამტან ანგელოს ხარისტიასს მისურაზე ფრანგი მეფობის, იოან მეკუს გვიარი აწერია, რომელსაც ჟაკ სანტინიმ ევრო 2004 არ აღიარა.



ლეკო ადვოკატი

ეპოქის დღი

ფარე. ალბარვა. 23.45

შვედეთი - ჰოლანდია

სავაჟეო შემადგენლობები

ისაკსონი; ლუკიჩი (ან ნილსონი), მელბერგი, იაკობსონი, ჰანსონი; ანდერსონი, ლინდეროტი, ლიუნგბერგი; კალსტრომი; იბრაჰიმოვიჩი, ლარსონი

ვან დერ სარი; რაიციგერი, სტამი, დე ბური, ვან ბრონკჰორსტი; ზედორფი, დავიდსი, კოკუ; ვან დერ მეიდე, რობენი; ვან ნისტელროი

მსაჯი: ლუგოზ მიხალი (სლოვაკეთი)

სტამბა ჰოლანდიას იტალია სუპრალა შვედურმა თავდასხამა უფროს-უმცროსობა არ იცის



ტომი სოდერბერგი

ჩეხებთან მარცხისგან დალონებულია ჰოლანდიელიმა ხომ გაათხეს ლეკო ადვოკატი, მაგრამ ახლა მეოთხედფინალში გასულთ გული გუნდისკენ კვლავ მიუბრუნდათ.

„ნარინჯისფერთა“ გულშემატკივრები იმ წაგებულ მატჩში არიენ რობენის შეცვლის გამო იმდენად გაოგნდნენ, რომ მწვრთნელს ასეთი პლაკატიც კი გამოუფინეს: „ლეკო ჩვენ კერაფერი გავიგეთ და შენს ცოლს მაინც თუ ესმის შენი?“

ამჯერად ვითარება საპირისპიროდ შეიცვალა. ჰოლანდიაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 62 პროცენტს შევლებთან მოგებისა და ნახევარფინალში გასვლის სჯერა. არადა, ხუთი დღის წინ ადვოკატი ისე გალანძღეს, რომ თვით შინაგან საქმეთა მინისტრიც კი გამოვიდა სიტყვით და ტელეკომენტატორებს ზრდილობიანად მუწოდა, ენა დაემოკლებინათ. ერთ-ერთმა ფირმამ კი მთლად გაუტია, როცა ფანებს შესთავაზა მაისურები შეურაცხყოფილი წარწერით: „ჩვენი დიკი 169 სანტიმეტრია“.

მოკლედ, სიტყვების ჭრა-კერვის მადაზე მოსული ჰოლანდიელები დაცხრნენ, მაგრამ ლეკო ადვოკატს მაგრად დასცხა. ჩეხებს ხომ მადლობა უხადა გერმანიის დამარცხებისთვის, ოღონდ დღეს უკვე კარელ ბრუკნერი ვეღარ დაეხმარება — „ნარინჯისფერთა“ თავკაცს მორიგი გამოცდა შევლებთან ელის. ზემოთ ხსენებული ფირმა ალბათ ჩასაფრებულა სხვის უბედურებაზე ფულის საკეთებლად, მაგრამ ასე რომ არ მოხდეს, ჰოლანდიამ უნდა სძლიოს შევლებს, რომლებსაც ბოლოს 1983 წლის 27 აპრილს, უტრეხტში უმასპინძლეს და ამხანაგური მატჩი სკანდინავიელებმა 3:0 მოიგეს.

შემდეგს თუ არა რუულ ვან ნისტელროი მიჯრით მეოთხე შეხვედრაში გოლის გატანას? „მანჩესტერის“ ფორვარდმა შევლებზე ასე ილაპარაკა: „უდავოა, რომ ძლიერი გუნდი ჰყავთ. შესანიშნავ ფე-

ხბურთს აჩვენებენ და მათი თავდამსხმელების შესაჩერებლად დიდი ჯაფა დაგვადგება, თუმც კარგია, რომ ფარუში ვთამაშობთ. აქ ყველაფერი ნარინჯისფერია, რადგან ჩვენი გულშემატკივრები სწორედ ამ ქალაქში დაბინავდნენ. ქომაგთა მხარდაჭერას სამივე მატჩში ვგრძნობდი და ვიმედოვნებ, შევლებთანაც არ მოგვაკლდება მათი ხმა“.

ვან ნისტელროიმ ადვოკატს სიტყვა შეაშველა: „ჩეხებთან წაგებაში მწვრთნელი დაადანაშაულეს. მის მდგომარეობაში ყოფნას არავის უსურვებ, თუმც ფეხბურთში ხომ ასე ხდება, ხან მოივებ, ხან წააგებ. ახლა მთავარია, რომ მეოთხედფინალში ვართ და ადვოკატის შეცდომას ნუ გამოვეკიდებით. თავს ბედნიერად ვგრძნობ, რომ სამივე მატჩში გავიტანე გოლი და ამით დაკმაყოფილებას არ ვაპირებ“.

„ნარინჯისფერთა“ ცენტრალური მცველი ვილფრედ ბოუმა ლატვიასთან მატჩში დაშავდა და მის ნაცვლად, სავარაუდოდ, ფანკ დე ბური ითამაშებს, რომელსაც უკვე III სანაკრებო მატჩი მოუგროვდა.

როი მაკაის ძალიან გაუხარდა, ლატვიელებთან გოლი რომ გაიტანა, მაგრამ თავადვე აღიარებს, რუულ ვან ნისტელროი ამჟამად ჩემზე კარგ ფორმაშია და გული არ მწყდება, სათადარიგოთა სკამზე რომ ვზივარო. „რა თქმა უნდა, ყოველ მატჩში თამაში მსურს, მაგრამ რუული ამჟამად მჯობს. მე კი ყოველთვის მზად ვარ, გუნდს დავეხმარო“.

ედვინ ვან დერ სარი: „თითქოს უკვე განწირულები ვიყავით, რადგან ჩვენი ბედი ჩეხეთ — გერმანიის მატჩზე ეკიდა. ვითარების ასეთი შემობრუნება მკვდრეთიდან აღდგომას ჰგავს. ახლა კი ვფიქრობ, რომ უკეთესად ავთამაშდებით. მეოთხედფინალიდან ნებისმიერი მატჩი ფინალია. შევლებს ძლიერი ნახევარდაცვა და თავდამსხმელები ჰყავთ და მგონი, ისეთივე სანახაობა გველის, როგორც ჩეხეთ — ჰოლანდიის შეხვედრა იყო, ოღონდ უკეთესი იქნება, თუ ამჯერად ჩვენს სასარგებლოდ დასრულდება“.

ბალტიისპირელებთან მოგების შემდეგ ფილიკ კოკუ დამშვიდა: „ახლა დავეწყნარდით და ფსიქოლოგიურად დავლაგდით. გუნდში ყველაფერი რიგზეა და ვიცით, რა დავუპირისპიროთ მეტოქეს. შევლებს შეფასება ზედმეტად მიმაჩნია, რადგან მეოთხედფინალიდან სუსტი მოტოქეები აღარ არსებობენ“.

ჩეხებთან შეცვლით გულდამწვარ არიენ რობენისგან ალბათ ქომაგები

იგივეს ელიან, რაც მან კარელ ბრუკნერის ნაკრებთან მატჩში აკეთა. თავად კი აი, რას ამბობს: „შვედები ფიზიკურად უნაკლონი არიან. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რამდენიც უნდა ირბინონ, არ დაიღლებიან, მაგრამ მათი დასამარცხელები იარაღის მოძებნა ჩვენც შეგვიძლია“. იაპ სტამმა კი თქვა: „თითოეულ ჩვენგანს საამაშიტროდ საგანგებოდ მომზადება მართებს, რამეთუ იტალია ყოველთვის არ გავვიძლიებს“.

„ნარინჯისფერები“ თუ რუულ ვან ნისტელროით დაიკვებნის, შევლებს ჰენრიკ ლარსონი ჰყავთ, რომელიც საკუთარ თავზე კი არა, ზღაპრად იბრაჰიმოვიჩზე ლაპარაკობს: „მისი ნიჭით მოხიბლული ვარ. ათი წლით უფროსი ვარ ზღაპრზე, მაგრამ ერთმანეთს მოედანზეც კარგად ვუგებთ და მოედნის მიღმაც. ზოგჯერ ისეთ რამეს ვაკეთებთ ბუ-

რით, გაოგნებული ვრჩები“. სკანდინავიელებს პირველივე მატჩში მარჯვენა მცველი ტედი ლუკიჩი დაუშავდათ. მას ნეკნი სტკიოდა და ორი შეხვედრა გამოტოვა, თუმც ექიმი მაგნუს ფორსბლადი იმედოვნებს, რომ ლუკიჩი სადღეისოდ გამოჯანმრთელდება.

„ტედის მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება. სრული დატვირთვით ვერ ივარჯიშა, მაგრამ ჰოლანდიასთან ალბათ ძირითად შემადგენლობაში იქნება“ — თქვა ფორსბლადმა.

შვედ მწვრთნელთა დუეტს ლუკინის შემცვლელად მიქაელ ნილსონი ჰყავს გამზადებული, რომელსაც გუშინ 26 წელი შეუსრულდა, ხოლო ერიკ ჰედმანი დისკვალიფიცირებულია და იძულებითი დასვენება მოუწევს.

გაბა ხუციშვილი



შვედი ფრედი ლიუნგბერგი და ჰოლანდიელი რუულ ვან ნისტელროი ბრემიერლიფიდან მეტოქეობენ



ჰენრიკ ლარსონი და ზღაპრად იბრაჰიმოვიჩი ერთმანეთთან ფეხმეწყობილი არიან





# ყველანი პოპულაჟი

## Diario de Noticias



# კიდევ ერთი დღი



გიორგი აბულაძე  
ლისაბონიდან

ეს ისეთი რამეა, რომ ღმერთს უნდა უმადლოდე. გამარჯვება ტკბილია. განსაკუთრებით ასეთი. გაუმარჯოს პორტუგალიას, გაუმარჯოს ბრაზილიას! — აი, ლუიშ ფელიპე სკოლარის სიტყვები. ეს იგივეა, რაც მთელი პორტუგალიის სიტყვები.

რომელმა მეოთხედფინალმა, უკვე განვლილმა თუ გასაველელმა, უნდა დაჩრდილოს ის ამბავი, რაც პორტუგალიამ გადაიტანა?

ისევე, როგორც ოთხი წლის წინათ, პორტუგალია ახლაც ნახევარფინალშია და დღეიდან ელის თავის მეტოქეს, რომელსაც ან ყვითელი სამოსი ეცმევა, ანაც ნარინჯისფერი.

მერე კი ალბათ კვლავ იქნება შეძახილი: პომბალზე! პომბალზე!

სადაც მთელი ლისაბონი მოიყრის თავს და იქნება ხალისიანი და ალალი ზეიმი მტვრევისა თვალების ბრიალის გარეშე.

პომბალი მარკიზ პომბალის მოედანია ლისაბონში, დიდი და ფართო ახალი ავენიდებით გარშემორტყმული. ორი საუკუნის წინათ, როცა საშინელმა მიწისძვრამ ლისაბონი გაანადგურა, იგი ფეხზე სწორედ მარკიზმა პომბალმა წამოაყენა. ამიტომ ის, რაც დღეს მთელ მსოფლიოს მოსწონს და შეჰყვარებია ლისაბონად, რაც ასეთი განუმეორებელი და უცხოა პირველად მნახველისთვის, ხოლო მეორედ მნახველს ლისაბონის ნარკომანად აქცევს, სწორედ მარკიზ პომბალის ხელდებულება.

ჰოდა, დგას ეს კაი კაცი თავისავე სახელობის მოედანზე, უზარმაზარ კვარცხლბეკზე, ხელით კი ფაფარაჩეჩილ ლომს დაყრდნობია.

ყველანი პომბალზე!

პომბალი პირობითი რამ შეიძლება იყოს, ვინაიდან ყოველ პორტუგალიურ ქალაქს აქვს თავისი საზეიმო ადგილი, თავისი საყვარელი და თბილი მოედანი. თანაც ერთი კი არა, რამდენიმე. ასევეა ლისაბონშიც, სადაც ინგლისელთა ძღვევის ღამეს ყველგან ხალხმრავლობა და ზეიმი იყო, მაგრამ ყველას ესმოდა, რომ ზღვა ხალხს მხოლოდ ძალიან ფართე პომბალის მოედანი დაიტევდა.

პურტუგალი! ეს ძველი და ნაცნობი შეძახილი იყო. გადაქანცულ, მაგრამ ანთებულ ადამიანებს გულიც კი მისდიოდათ. ერთი ბიჭი სწორედ ჩემ თვალწინ გააქანეს საკაცით. რამდენი ასეთი ბიჭი იქნებოდა და რამდენი ჩაპუტკუნებული დეიდა ტიროდა და იცინოდა ერთდროულად. განა მარტო ლისაბონში, ყველგან.

ეს იყო დიდი გამარჯვება, რომელიც ერს მოუტანა რიკარდუ ალენკანდრე მარტინს სუარეს პერეირამ, 28 წლის მეკარემ „სპორტივგის“ კლუბიდან, რომელმაც ინგლისელთა ბოლო პენალტი აიღო, მერე ხელთათმანები მოისროლა, აქაოდა, თამაში დავამთავრეო და თავად გაიტანა ზუსტი, რისკიანი პენალტი.

მე არ მინახავს, რომ მაგას პენალტი აეცილებინოს — თქვა სკოლარიმ.

ვფიქრობდი, რომ ერთი მაინც უნდა ამელო — თქვა რიკარდუმ.

ესე იგი, რიკარდუ გმირად გამოცხადდა. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ მთლად ასეც არ არის. რიკარდუმ სწორედ თამაშის შემდეგლა ამბავში იმარჯვა, ხოლო ლუიშ ფელიპე სკოლარის თამაშისწინა ნალაპარაკევი, ასეთი და ისეთი ტაქტიკები მოვიგონეო, ასე და ისე მოვამზადე სიურპრიზებით, სულ ტყუილი გამოდგა.

პორტუგალიამ ითამაშა ის, რასაც ყოველთვის ითამაშობს. მან ითამაშა შეტევა პირველიდან ასმეოცე წუთამდე და ეგებ სკოლარის ერთადერთი დამსახურება ამ გუნდის წევრთნისას ის არის, რომ სისწრაფე მიანიჭა გუნდს. დიახაც, აუნერელი, პორტუგალიელთათვის იქამდე გაუგონარი სისწრაფე. ისევე, როგორც ესპანელებთან, აქაც პორტუგალიამ ირბინა უსწრაფესად და ისევე, როგორც ესპანელებთან, დაილალა მეორე ტაიმის შუაში, თუმცა, ისევე, როგორც ესპანელებთან, ეს არავინ გამოიყენა და ისევე, როგორც ესპანეთი, ინგლისიც კარში ჩადგა, თუმცა აშკარა უპირატესობით, რადგან თავიდანვე ჰქონდა ფორა ოუენის გოლის წყალობით.

სასაცილო ის არის, რომ ინგლისი 90 წუთს კარში იდგა. სვენ გორან ერიკსონი კი ზედიზედ ხსნიდა შემოქმედებით, პასის მიმცემ ფეხბურთელებს და მეომრები გამოჰყავდა. როცა თამაშში ორმოცდაათჯერ უნდა ახტე, ერთხელაც აღარ ახტები. აღარ ახტა ჯონ ტერი და პრემიერლიგაში განთქმულმა ამცილებელმა და „ტოტენჰემის“ ძირითადში ადგილის მოპოვებისთვის მებრძოლმა ელდერ პოსტიგამ გაათანაბრა.

დანარჩენი კი ძველი ისტორიაა: ინგლისისა და პენალტების ისტორია. გინდა, სვენი იყოს წელიწადში ოთხი მილიონი გირვანქით და გინდა, სხვა.

ისევე, როგორც ექვსი წლის წინათ, სოლ კემპბელს არ ჩაუთვალეს გოლი, რომელიც მატჩის ბედს გადაწყვეტდა. ურს მაიერი უარზე დადგა, თამაშის ბოლო წუთი იყო. ისევე, როგორც რვა წლის წინათ... ისევე, როგორც თოთხმეტი წლის წინათ.

დევიდ ბექემმა ბოლო ექვს თვეში



# იდიოტი, მასხარა და კოვზზე გლაბვი რატომ დაუბრუნა ბელგი მინდორში?

ამასწინათ ვნერდით, რომ იტალიის გავარდნა მსხვილი მოვლენა იყო და ჩუმად ვერ ჩაივლიდა, მაგრამ, დაგვეთანხმებით, კიდევ უფრო მსხვილი მოვლენაა ინგლისელთა შინ გამგზავრება. ამას იმიტომ ვიარ ვამბობთ, რომ ზოგადად ინგლისურ ფეხბურთს იტალიურზე მაღლა ვაყენებთ, არამედ, იმიტომ, რომ ინგლისურენოვანი პრესა მთელ მსოფ-

ლიოშია გავრცელებული და თუ მიზეზი იშოვნა, ქარიშხლის ატეხვაც მართლა ყველაზე კარგად ეხერხება, მასთან შედარებით იტალიური მედია კვნესის და მეტი არაფერი. ამიტომაც, მოდით, ინგლისელთა ნაკრების დამარცხებას მათივე გაზეთების გადაფურცვლით გამოვეხმაუროთ, მით უფრო, რომ საინტერესოა რა დაინერა ცხელ გულზე.

მატჩის მეორე დღეს, მთავარი თემა პორტუგალიელთა კარში არჩათვლილი გოლი გახლდათ, შეგახსენებთ, ეს გოლი თავით გაიტანა სოლ კემპბელმა. ამ დროს მატჩის ძირითადი დროის დამთავრებამდე ერთი წუთი რჩებოდა (მსაჯის წამატებულთან და ოთხი) და გოლი რომ ჩათვლილიყო, ყოველგვარი დამატებითი დროის გარეშე მეოთხედფინალში ინგლისის ნაკრები გა-

ლიოდა, მაგრამ შვეიცარიელმა მსაჯმა ურს მაიერმა, რომელსაც გაზეთი „სანი“ პირველ გვერდზე იდიოტს უწოდებს და წერს, რომ მან ბექემს(?) გმირობა ამოაცალა ჯიბიდან, გოლი არ ჩათვალა, რადგან მიიჩნია, რომ იმ მომენტში, როდესაც კემპბელი ბურთს კარში ავლებდა, ჯონ ტერი პორტუგალიელ მეკარე რიკარდუს ძალით უზღუდავდა გზას.

ფრენკ ლამპარდი: „პენალტებით დამარცხება ფეხბურთელისთვის მუშტის კბილებში მოხვედრასავითაა. სოლის გოლს არჩასათვლელი არაფერი სჭირდა, თან მსაჯი ცენტრისკენაც კი გაიქცა, ელოდა, რომ თამაში ცენტრიდან განახლებოდა, მაგრამ მსაჯმა ამ დროს, რატომღაც აღარ ჩათვალა გოლი, არადა, ჩვენ ზომ ვიცით, რომ გოლი წესების დაცვით გავიტანეთ. ბიჭები დაზაფრულები არიან“.



ჯონ ტერი ამტკიცებს, რიკარდუს არ შეგხებივარო, არადა, ფოტოზეც ჩანს, პორტუგალიელთა მეკარისთვის ლამის ყელში რომ წაუჭერია ხელი

ჯონ ტერი: „მე წესი არ დამირღვევია და წარმოდგენა არ მაქვს, რატომ არ ჩათვალეს გოლი. მეკარეს არც მე შეგხებივარ და არც სოლი. მსაჯი ვერ ახსნის რატომ გადაწყვიტა ყველაფერი ასე უკულმა. ყველანი პირდაღებულები ვართ“.

მოვიყვანოთ ტელეწამყვანებად მომუშავე ყოფილი ფეხბურთელების, პიტერ რიდის, იან რაიტის და აღან ჰანსენის მოსაზრებებიც.

რიდი: „ჩვენ ცუდმა მსაჯობამ გავგვარცვა და ჩემპიონატიდან გაგვავადო“.

რაიტი: „ბიჭებმა კარგად ვერ ითამაშეს, მაგრამ აბსოლუტურად სრულყოფილი გოლი გაიტანეს, მსაჯმა ის არ ჩათვალა, რადგან მეკარეზე თავდასხმა ევონა და ამ გადაწყვეტილებამ დაგვლუპა. სინამდვილეში მეკარე ჩვენ ორ ფეხბურთელს მიეძგერა, რაც დაქაჩვა არ არის. ნუთუ ამას უწოდებენ საუკეთესო მსაჯობას?“


ჰანსენი: „წადით იმ ადგილას, სადაც მსაჯი იდგა და დარწმუნდებით, რომ იქიდან ინციდენტს სიშორის გამო ვერ დაინახავდით. მსაჯზე უკეთეს პოზიციაში თანამსაჯი იყო და მას გოლი არ გაუუქმებია“.

ინგლისური გაზეთები ამ დღეს საგანგებო აქცენტს გულშემატკივართა გამონათქვამებზე აკეთებდნენ. სურათის სრულყოფილებისთვის რამდენიმეს გაგაცნობთ:

„პირდაპირ კარს უკან ვიჯექი და ცუდი არაფერი დამინახავს“ — ამბობს მავანი ლესტერელი, რომლის სახელის და გვარის ჩვენს გაზეთში მოტანას არანაირი აზრი არ აქვს.

„შვეიცარიელი მსაჯი მასხარა გამოდგა. მე აშკარად დავინახე, რომ სოლს არაფერი დაუშავებია“ — დასძენს მანჩესტერელი ბიზნესმენი.

„მსაჯი გაცილებით ბლაგვი გამოდგა, ვიდრე ური გელერის კოვზები“ — უთქვამს ჩელმსფორდელ ბატონს, რომელსაც ერთ-ერთ გაზეთის რედაქციაში დაურეკავს.



თუმცა სჯობს თავად ინგლისის ნაკრების ბანაკში დაებრუნდეთ და მათი გამონათქვამები მოვიტანოთ:

სვენ გორან ერიკსონი: „კიდიდან ყველაფერი წესების დაცვით სჩანდა“.

მაიკლ ოუენი: „პენალტებით გავარდნა ძალიან მწარეა, სოლის გოლში კი წესის დარღვევა მე არ დამინახავს“.

საინტერესო დეტალი, რომელიც ურს მაიერთან და გოლთან არაფერ შეაშია: უენ რუნის 74 წლის ბაბუა სტადიონზე ბილეთის იქვე შოვნის იმედით მისულა და, ცხადია, ვერ უშოვნია. ასე მდგარა თავისთვის უიმედოდ, სანამ უეფას მავან თანამშრომელს არ გაუგია, ვინც იყო ეს ბერიკაცი და მისთვის ბილეთი არ ჩამოუტანია.

მეორე თემა, რომელსაც ინგლისური მედია შეეხო, პენალტები და „ბედი ინგლისისა“ გახლდათ. ცხადია, ყველამ აღნიშნა, რომ დევიდ ბექემმა ამ ჩემპიონატში მეორე თერთმეტმეტრიანი ააცილა, მაგრამ უფრო მთავარი ის იყო, რომ ყველამ გაიხსენა:

1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი. ნახევარფინალში გერმანიასთან სტიუარტ პირსმა და კრის უოლდმა ააცილეს თავიანთი დარტყმები.

1996 წლის ევროპის ჩემპიონატი. ისევ ნახევარფინალში და ისევ გერმანიასთან გარეთ საუთგეიტმა ვერ აჯობა მეკარეს.

1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. მეოთხედფინალში არგენტინასთან პოლ ინსს და დევიდ ბეტის ვერ გააქვთ გოლები.

და აი, 2004 წლის ევროპის ჩემპიონატიც ინგლისელთათვის პენალტებში უიღბლობით დასრულდა. ამ ხნის განმავლობაში ერთადერთი წარმატებული პენალტების სერია ინგლისელებს ესპანელებთან, ევრო 96-ის მეოთხედფინალში ჰქონდათ, როდესაც მაშინდელი გოლკიპერი, დევიდ სიმენი შერაცხეს გმირად.


სვენ გორან ერიკსონი: „ამ მოედანზე, ახლანდელი და ადრინდე-

ლი თამაშების წინ, ორჯერ ვივარჯიშეთ და ორივეჯერ ფეხბურთელებმა პენალტის ნიშნულები დაიწუნეს. პენალტების დარტყმაში ვივარჯიშეთ და ვნახეთ — ბალახი სრიალებდა, რაც ორგანიზატორებს მაშინვე შევავსებინე და პასუხად დაპირება მივიღე, რომ ახალ ბელტებს დააგებდნენ. დევიდი კი მაინც გასრიალდა. დღეს იგი შეიძლება საკუთარ თავს კიცხავდეს, პენალტის გატანა-ვერგატანაც, ცხადია, ოსტატობაზეა დამოკიდებული, მაგრამ დიდწილად ლატარეაცაა. საერთოდ, დევიდი დადებული ბურთის დარტყმისას საყრდენ ფეხს მგტისმეტად აწვება და ისე ჩანს, თითქოს ამ წონის გამო მის კვემ ბელტი სრიალებდო“.

შემდეგ კი ერიკსონმა მთლიანად თამაში შეაფასა:

„პორტუგალია ბურთის ფლობაში განსაკუთრებით ძლიერი, მაგრამ ჩვენ იმდენივე მომენტი შევქმენით, რამდენიც მოწინააღმდეგემ. რუნის გასვლაზე კი იმას ვიტყვი, რომ ამ ფაქტს თავის გამართლების საშუალებად არ ვაქცევ. თავს ვერ დავდებ, რომ რუნი რომ არ დაშავებულიყო, აუცილებლად მოვიგებდით“.

ბაბუნა კილია





ინგლისელების დამარცხების შემდეგ ლისაბონის „ლუის“ სტადიონის მინდორზე მოზეიმე პორტუგალიელთა ბანაკში ლუიშ ფიგუ ვერ დაუნახავთ. ყვე-

ლაზე ტიტულოვანმა ვარსკვლავმა — ძირითადი დროის მინურულს, ლუიშ ფელიპე სკოლარიმ რომ შეცვალა — გასახდელში ჩაყვინთა და გაუჩინარდა.

# ფიგუ გასახდელში გაუჩინარდა მე ვიცის, რომ ის ღოცულობდა

ეს უკვე ზედიზედ მესამე მატჩი გახლდათ, როდესაც „რეალის“ გარემარბმა მოიხედა და მოედნის კიდესთან, მეოთხე მსაჯის ხელით აღმართულ დაფაზე შევიდინა დაინახა. ამჯერად ეს მაშინ მოხდა, როდესაც ინგლისელების კართან კუთხურის ჩაწოდებას აპირებდა. ფიგუმ კაპიტნის სამკლავური მოიხსნა, ნუნუ გომეშს შეაბა და დინჯი ნაბიჯით გაუყვა აუტის ხაზს გასახდელისკენ.

ამბობენ, რომ სატელევიზიო რეკლამებში მომდომარი ფიგუ სინამდვილეში პირქუში ადამიანია, რომელიც ისე იქცევა, თითქოს სამყარო ბეჭებზე ჰქონდეს შემოდგომული. იგი ვეროპის ჩემპიონატზე უ-

რნალისტიების წინაშე მხოლოდ ორჯერ წარსდგა და ორივეჯერ საკუთარი მნიშვნელოვნების გამომხატველი პასუხები გაუცია.

აღრე, როდესაც სკოლარიმ ნაკრებში ბრაზილიელი დეკო აიყვანა, ფიგუმ განაცხადა, უცხოელს სხვის ეროვნულ გუნდში არაფერი ესაქმება, რადგან ჰიმნის ტექსტი შეიძლება დაიზიადრო, მაგრამ გულით ვერასდროს იგრძნობო. შემდეგ ამას გარკვეული ხმაური მოჰყვა, მაგრამ ბოლოს ყველაფერი ჩაჩუმდა. თან, რეალელს ბოდიშის მოხდა არ დასჭირვებია, უბრალოდ დაახუსტა, პირადად დეკოს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რაც ვთქვი, ზოგადი პრინციპი იყო.

მატჩის შემდეგ სკოლარიმ განაცხადა:

„მოედნიდან რომ გადიოდა, ფიგუსთვის სიბრაზე არ შემომჩნევია, ამიტომ ეს იმ თემად არ მიმჩნია, ჩემს ნერვიულობად რომ ღირდეს. მე ფულს თამაშების ცქერის და წარმართვისთვის მიხდიან და არა იმისთვის, ფეხბურთელებს რომ დავაკვირდე, როგორი სახით მიდიან გასახდელისკენ ან სხედან სათადარიგოთა სკამზე. ბოლოს და ბოლოს, თუ რაიმე პრობლემური შევნიშნე, შესაბამისად მოვიქცევი კიდევ, თუმცა მითხრეს, რომ პენალტების დროს ფიგუ გასახდელში ლოცულობდა“.

რაც შეეხება თავად ფიგუს კო-



მენტარს, ის მოკლე და დიპლომატიური გახლდათ:

„ნახევარფინალში გასვლით ძალიან ბედნიერი ვარ. მინდა შემდეგ შეხვედრებში მოედანზე ვიყო, თუმცა გადაწყვეტილებას მწვრთნელი იღებს, მთავარი კი, ასეა თუ ისე, გამარჯვება“.

და ბოლოს, პორტუგალიური პრესის საერთო აზრით, ფიგუმ კარგად ითამაშა და სასაყვედურო არაფერი აქვს, თუმცა უსიამოვნო იყო, რომ იგი შეცვლის შემდეგ სკამზე კი არ დარჩა, გასახდელში ჩავიდა.

ბაპუნა კელია

# სკოლარის არჩევანი ერთი პორტუგალიელი 40 ათას ინგლისელზე მეტია



ხარი, ერთი პორტუგალიელი აქ შეკრებილ 40 ათას ინგლისელზე მეტია-მეთქი. ნებისმიერი გამარჯვება საამური, განსაკუთრებით კი ეს, რომლის კულმინაციაც რიკარდუს მოგერიებული და გატანილი პენალტი გახლდათ. ასეთი რამ როდესაც ხდება, ადამიანი ღმერთს მადლობას სწირავს“.


უფალი ახსენა პორტუგალიის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ გარემარბმა კრისტიანო რონალდომაც:

„პენალტების დროს უფალი დავგვზმარა. დიდებული წუთები იყო. საერთოდ კი, მთელი მატჩის განმავლობაში გვწამდა საკუთარი თავისა. ინგლისელებს ვჯობდით 90 წუთის განმავლობაში. ჩვენ უძლიერესი ფეხბურთელები გვყავს, ხალხმა კი ნახა, რომ მთელი 120 წუთი ვირბინეთ და თავი არ დაგვიზოგავს! ბრწყინვალეა, ყველაფერი იმაზე გაცილებით უკეთესად მიდის, ვიდრე ველოდით. იმედი მაქვს, ამაზე არ დასრულდება“.

ბაპუნა კელია

ინგლისის ნაკრების პენალტების სერიით დამარცხების შემდეგ პორტუგალიის ნაკრების ბრაზილიელმა მწვრთნელმა, ლუიშ ფელიპე სკოლარიმ განაცხადა:

„დიდებული შეხვედრა იყო. თამაშის წინ ფეხბურთელებს კუთ-



# მარჩელო ლიპი გაიშინა

გუმინ ვაცხადდა, რომ იტალიის ნაკრებს 16 ივლისიდან მარჩელო ლიპი ჩაიბარებს. 16-ში ჯოვანი ტრაპატონის კონტრაქტი იწურება და „იუვენტუსის“ ყოფილი თავკაცოც ოფიციალურად „სკუადრა აძურას“ მწვრთნელი გახდება.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ფრანკო კარაროს თქმით, ლიპის ორწლიანი კონტრაქტს გაუფორმებენ.

„როგორც პრეზიდენტი, ტრაპატონის მადლობას ვუხდით მუშაობისთვის და მჯერა, რომ მარჩელო ლიპის თავკაცობით ნაკრები მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე ითამაშებს“.

„იუვენტუსის“ ყოფილ მწვრთნელს სანაკრებო დონეზე არასოდეს უშუშავია, მაგრამ საკლუბოში ისეთი წარმატებები ჰქონდა, ბარე ორი ვერ დაიტრიაბახებს.

გაშა ხუციშვილი

# ჩემპიონატს ყრუ ვერ მოიბეებს

ხვალ მორტენ ოლსენის დანია კარელ ბრუკნერის ჩეხეთს ხედება. „ვიკინგთა“ მწვრთნელი მეტოქეს აფასებს და ამბობს, რომ ამ ორი გუნდის მატჩი სანახაობრივად კარგი უნდა გამოდგეს.

„მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენ ერთად ვიყავით. მაშინ ჩეხებს ორჯერვე ვძლიეთ. ახლაც მზად ვართ მათთან საბრძოლველად. დანიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა მათი სამივე მატჩი ნახა და სათანადოდ შეისწავლა. ბრუკნერის შეგირდები სამივე შეხვედრაში აგებდნენ და საბოლოოდ თამაში სა-

თავისოდ შემოაბრუნეს. ეს კი ნიშნავს, რომ ნებისმერ ვითარებაში თავის საქმეს ფრიადზე აკეთებენ. მათი სათამაშო ყაიდა თითქოს ჰგავს კიდევ ჩვენსას. საერთოდ კი ვფიქრობ — ამ ჩემპიონატზე ის მოიგებს, ვინც ყრუ დაცვაში არ ჩაიკეტება. ჩეხები მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე ვერ მოხდნენ, ამიტომ ახლა იშტაზე არიან, თან ჯგუფში სამივე მატჩის მოგებას „საკუთარი ძალების რწმენა“ შემატათ“.

დანიელებს ებე სანდი ტრავმირებული ჰყავთ, მაგრამ ოლსენი იმედოვნებს, რომ ფორვარდი სახვალიოდ მომჯობინდება. მცირე ტრა-



ვები აწუხებთ დენის რომედალს და მარტინ იორგენსენს, რომლებიც ინდივიდუალურად ვარჯიშობენ.


# აბა, რა გული გაუძლავდა

ლისაბონში, „ლუის“ სტადიონზე, რომელზეც 65 ათასი გულშემბატკივარი ეტევა და პორტუ-



გალია — ინგლისის მეოთხედფინალური მატჩის დროს, ბუნებრივია, ყველა ადგილი შევსებული გახლდათ, ექიმებს დაახლოებით 130 გამოძახებაზე მოუხდათ გავარდნა. შედარებით რთული მედიკოსებს ორი შემთხვევა შეხვდათ.

„ძალიან ემოციური თამაში გახლდათ და გასაკვირი არ არის, რომ ზოგიერთს გული გაუხდა ცუდად“ — განაცხადა ერთ-ერთმა ექიმმა.



# საესპანეთში ხელი აიღო

ინაკი საესი ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი აღარ არის. ეს ამბავი გუმინ თავად საესმა გაახმაურა, შევნიშნით, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში მას დარჩენას სთხოვდნენ.

„მაგრამ ფედერაციის ხელმძღვანელებს ჩამოვუთვალე ის მიზეზები, რომელთაც დიდებულ სამუშაოზე, ესპანეთის ნაკრების მწვრთნელობაზე ააღებინა ხელი“ — თქვა საესმა. როგორც ესპანური მედია იუწყება, საესის შემცვლელად ესპანური ფეხბურთის თავკაცებს ლუის არაგონესი შეუვსდებათ.



აი, მაგალითად GIO\_KHUTSO, რამდენი ხანი არაფერი მოეწერა, ნერვიულობაც კი დაეწივს, რამე ხომ არ შეემთხვა მეთქი. პოდა, გუშინ მისი წერილი რომ მივიღე, ჯერ გამიხარდა, მაგრამ რომ წავიკითხე, ჯობდა, სულ არ მოეწერა:

— ოჰო-ჰო-ჰო, ეს რა ამბავი აუტყხავთ იტალიის და გერმანიის ფანებს ჩემს არყოფნაში? FORZA ITALIA-ო, 4 ივლისი ჩვენი დღეაო, დოიჩლანდ უბერ ალესო, ჯერ ჩეხებს შევჭამთო და მერე ყველას დავაყოლებთ დესეტრადო. მოგეხებათ ფრიცებო და მაკარონჩიკებო? ბრავისიმო ჩეხეთი დაუნვებიანო, მისცემენო, ისაო, ესაო, ეგეც თქვენს ხომ გააბითურა ჩეხების მეორე შემადგენლობამ აბდაუბდად მობურთალი გერმანია. ახლა იდგეს და ეკაიფოს კაიზერ ფრანცმა საქართველოს და მოლდოვას. და რუნი? ვითომ პელეა? ჰმ... ვნახოთ, ისე კი მართლა მაგარია. აბა, ჰე!

ეჰ, KHUTSO, როგორი უგულო ყოფილხარ, ამით კიდევ შენი დაცინვა უნდოდო?

ან შენ, MEZVRO, არ გრცხვენია? ლუდზე რომ მპატიყებ დიდი მადლობა და წერილსაც ძალიან კარგად ამთავრებ, მაგრამ დასაწყისია ისეთი, კაცს გულს მოუკლავს:

— ხალხს სალამი! გერმანიის ფანების ომახიანი შეძახილები რატომ აღარ გაისმის? GIORGI-ს ჰკითხე, კაცურად, გერმანია შევდეთს როდის ეთამაშება? მერე ცოტა ნერვიულობაო ნახევარფინალშიო, რომელ ნახევარფინალში? 2006 წელს რომ იქნება თუ 3006 წელს? ლუდის დასალევად როდის წავიდეთ, ბუარ? ცივი ლუდით გახურებული გულების გაგრილება ინგლისელ ფანებსაც ხომ არ შევთავაზოთ? ბექემი დიდად გულზე არ მეხატება, მაგრამ მის მიმართ ავი სიტყვებისგან თავს შევიკავებ. ახლა რასაც გულში თავად ინგლისის ფანები სწყევლიან, ისიც ეყოფა მისტერ „ნავესის მასტერს“.

ისე, ასე გულს რომ ვიხეთქავთ ეს ქართველები სხვის გუნდებზე, საკუთარს ვუგულშემმატიკვიროთ, როცა ნაკრები სახლში თამაშობს, მივბაძოთ იმ ახმახ ინგლისელ ფანებს სიმღერებში თუ ომახიან შეძახილებში. კი, მეტყვიო, ესენი არ არიან ამის ღირსებიო, მაგრამ კაი ჯანდაბას, ფეხბურთელები ცუდები არიან, ხალხი ვიყოთ კარგები გულშემმატიკვირობაში.

მაგრამ მეორე მხრივ, რას გერჩი, GIORGI-ს რომ დასცინი, თვითონ GIORGI იქით დასცინის სხვებს:

— კეთილი იყოს ინგლისის მობრძანება გერმანიის, იტალიის და ესპანეთის კომპანიისაში. შემდეგი ვინ იქნებანეტავ, საფრანგეთი თუ ჰოლანდია ან იქნებ ჩეხეთი? უკვე აღარ ვი-



დავილუბეთ, ეს რა დაგვემართა, დგათ. არადა, ამ საერთო მწუხარე-ყოვედლე პანაშვიდი გაგონილა? ბაში ზოგიერთები ძალიან უნესოდ იტალიის და გერმანიის მერე ინგ-იქცივიან, ჭირისუფლებს დასცინი-ლისის ფანებსაც შავი დღე დაუ-ან და სულ არ რცხვენიათ.

ცი. ისე, რაღაც საფრანგეთის გულშემმატიკვირები არ ჩანან. ბექემი კი პენალტებს მაგრად ასრულებს ამ ბოლო დროს. მგონი, ბოლო სამი დარტყმიდან ერთიც ვერ გაიტანა, არა? ბექემის პენალტები ნაღდად არ დამითვლია, საფრანგეთის გულშემმატიკვიარს კი ახლავე გაგაცნობ, რომლის წერილიც პორტუგალია — ინგლისის დაწყებამდე მოვიდა და დღევანდელი გადასახედიდან ძალიან სასაცილო რამე გამოდის.

GIOMENA\_2004: მე საფრანგეთის ფანი ვარ უკვე ათი წელია, დღესდღეობით საფრანგეთს მწვრთნელი არ უფარგა. მაგას რომ ერიკსონისნაირი მწვრთნელი ჰყავდეს, ჩაიბარებდნენ თასს. სანტინის უნდა წავყვანა ნიკოლა ანელკა გოვუს ან მარლეს მაგივრად. დესაიც არ იყო ნასაყვანი. დღეს ინგლისი გავა, პორტუგალია ჯგუფში ჩარჩენილიყო აჯობებდა. ჰო, კიდევ, ზიდანის ფეხბურთის მეფეა დღესდღეობით.

ისე, ბედი რა ოხერი რამეა, არ იცი, რას გიმზადებს. ასე მაგალითად, LEVGO21-საც GIOMENA\_2004-ის ამავე დაქარაზა:

— ვუსამძიმრებ ინგლისის ფანებს. მე ვფიქრობ, რომ ცოტა არ გაგვიმართლა, მაგრამ არც შეიძლება გაგვიმართლოს, მთელი ორი ტაიმი დაცვაში რომ იდგები და მეტოქის კარისკენ ერთხელაც არ გაიხედავ. თანაც დაწყველილი პენალტების სერიაც ყოველთვის ინგლისელების დამარცხებით მთავრდება. ეგ სკოლარიც რა იღბალა ყოფილა. ინგლისის მთავრობას კი ვურჩევდი, რომ კონსტიტუციაში შეიტანონ მუხლი ბექემისთვის პენალტის დარტყმის აკრძალვის შესახებ. ახლა კი ავდგები და ჰოლანდიას ვუბალებშიკებ.

არადა, ამ წერილამდე რამდენიმე საათით ადრე LEVGO21 სულ სხვა რამეს წერდა:

— ბუარას გაუმარჯოს! კიდევ ერთი ანტიფეხბურთის მოთამაშე გუნდი წავიდა ნუხელ სახლში (იმედია, ხედებით, ვისაც ვგულისხმობ). დღეს სალამოს კი ENGLAND-ი გვიჩვენებს როგორ უნდა FOOTBALL-ის თამაში... დიდი მოკითხვა TIKO-ს და KETI-ს.

COME ON ENGLAND!!!!!!!!!!  
GOD SAVE ROONEY!!!!!!!!!!

ხომ ხედავთ, როგორ იცვლება ყველაფერი. ჯერ ქამ ონ ენგლანდო და რამდენიმე სათში, პოლანდიას ვქომაგობო. აი, ქეთი და თიკო ვგრე არ მოიქცეოდნენ. არა, გოგოებო? ინგლისის კონსტიტუ-



ციაში ვერაფერს შეიტანენ, რადგან მსოფლიოში სულ რამდენიმე ქვეყანაა, კონსტიტუცია რომ არ აქვს და მათ შორისაა ინგლისიც. ასე რომ, ისევე ბექემმა უნდა ისწავლოს დარტყმა, სხვა გზა არაა.

ეგ არაფერი, დღეს ასეა, ხვალ ისე იქნება, მაგრამ რა არის იცი, ზოგი რომ დამარცხდება და მაინც დიდ გულზეა, ეგ ნაღდად ვერ არის კარგი საქმე. აი, მაგალითად SUPERMARIO — მწერს:

— სალამი „სარბიელს“! გერმანია მაინც მაგარია, რადგან მაგარი კაცები ისევე მყავს, შვანისტაიგერი, ლამი, ფრიდრიხი და ბალაკი, კურანი, კლოზე და პამანი კი უნიჭოები არიან და გერმანიას არცხვენენ. ვებ-მასტერი ხარ თუ ფლიდ-მასტერი ხარ, გერმანიაზე ცუდს ნუ-რაფერს იტყვი, მოკლედ 2006 წელს ვილაპარაკოთ.

აჰა, ელაპარაკე ახლა ამას. ახლავე ყველაფერს ავიხსნით. SUPERMARIO — სინამდვილეში ჩემი მეგობარია და რომ მესიამოვნებინა, აქამდე, როცა ვხვდებოდი, გამარჯობის მაგიერ დოიჩლანდ უბერ ალესს შევძახებდი-ხოლმე. ერთხელაც ტოტალიზატორის ქვითარი მინახა, გერმანიის წაგება რომ მეწერა და იმის მერე ფლიდს მეძახის. ეგრე არა? მე ვარ ხო ფლიდი? ხარაშოო, მაშინ შენ ხარ ბერტი ფოგოსი, თუ კარგია.

ან ესაა წერილი? GOODMAN, აქამდე კაი კაცს რომ ვეძახდი, ის კიდევ მაინც ჯიუტად ამტკიცებდა, დელ პიერო დიადი ფეხბურთელიაო, ისეთი დაბოლმილი მწერს...

თუმცა მისი წერილი იმსიგრძეა, რაღა ეგ და რაღა ვეფხისტყოსანი, ამიტომ მოკლე შინაარსს მოგიყვებით.

ესე იგი, პატივცემული GOODMAN იწერება, რა კარგია, ეს შავი ჭირი, ინგლისი რომ მოვიშორე, აწი დამშვიდებული ვუყურებ ჩემპიონატსო. კიდევ წერს, ჩემი „სკუ-

ადრა აპურა“ ბედმა დიდაა, თორემ ისე გულდაც არ უჩანს, თქვენ რომ გგონიათო. ბოლოს და ბოლოს, გერმანიაზე მეტი ქულა მაინც აიღო. ამის მერე GOODMAN-ი იტალიის სხვა ფანებს დაერია, იმათ, ვისაც „აპურაზე“ კი აბოლებთ, მაგრამ „იუვენტუსს“ არ გულშემმატიკვირობენ. ის ვარსკვლავები, რომლებიც „მილანში“ თამაშობენ, ვარსკვლავები არ არიან, სკუდეტო კი მაფიოზმა ბერლუსკონიმ მოაგებინაო. ერთი სიტყვით, იტალიაში ერთადერთი გუნდი არისო. კიდევ, მერე რა, თუ ალექს დელ პიერო ხანდახან კარგად ვერ თამაშობს, მაგან უკვე დაამტკიცა დიდი ფეხბურთელობაო. ბოლოს GOODMAN-ი მწერს, ამდენი კი დაწერე, მაგრამ ხომ ვიცი, არ დაბეჭდავ, დელ პიეროს მტერი ხარ და იმიტომო.

რა უნდა ამ კაი კაცს, რას მერჩის, ვერ გავიგე, რატომ ვარ დელ პიეროს მტერი, ვ ღიზნი თვალით არ მინახავს, მტერი როგორ ვიქნები. ერთხელ ვთქვი, მოკლე ფეხები აქვს-მეთქი და ეგეც სხვისი ნათქვამი გავიმეორე, წინა ევროპის ფინალში კიდევ ორი უნადღესი გოლი რომ ვერ გაიტანა, ეგეც ტელევიზორში ვნახე, მე არ მომიგონებია და არ გადამიკვიდა?

კიდევ კარგი, ერთი წესიერი წერილიც გამოურია, არც მე მლანდავს და არც რომელიმე გულშემმატიკვიარს.

GEGECHKORI: ძან კი მიწოდდა ეს წერილი გერმანიის ქებით დამენყო, მაგრამ რუდი ფიოლერის და მთელი ბუნდესნაკრების ასე და ისე (გარდა ბალაკისა). აბა, მეტი რაღა დავწერო მაგათზე. აი, ის გოლი რომ გაეტანათ, ძელს რომ არ მოხვედროდაო და ეგეთები, უკვე უაზრობაა. თუ კარგი გუნდი ხარ, ეგეთებზე არ უნდა ნუნუნებდე და ლატვიას მაინც უნდა უგებდე.

აჰა, ხედავთ, როგორ უნდა წერდეს რაფინირებული ინტელიგენტი?

აი, კიდევ ერთი კულტურული წერილი: ვიცი, რომ ბევრი არ დამეთანხმება, მაგრამ იტალია და გერმანია რომ გავარდნენ, ამაში არის კანონზომიერება და ამით ევროპის ჩემპიონატს არათუ მოაკლდება რამე, არამედ, პირიქით, უფრო სანახაობრივი იქნება. მე პირადად „არსენალის“ ფანი ვარ, ანუ საფრანგეთს ვუჭერ მხარს. ხოლო იტალია და გერმანია ამ ეტაპზე რომ ფეხბურთს თამაშობენ, მართლა თუ იტალიელი ან გერმანია არ ხარ, ვერ გამიგია როგორ უნდა უბალებშიკო. პატივისცემით MAGNUMUKA

ეჰ, ჩემო MAGNUMUKA, სიყვარულს რას გაუგებ.


ბოლოს კი, რა მინდა ვთქვა, სანამ ამ მიმოხილვას დავებეჭდავი, ერთი ათი წერილი კიდევ მოვიდა, რომლებსაც დღეს ნაღდად ვეღარ დავებეჭდავ, ხვალ კი აუცილებლად იქნება.





# თბილისი

ეროვნული  
საბავშვო  
საბავშვო



ღმერთმა  
პორტუგალიას უსმინა



ინგლისს აი,  
ასე უქნეს



ბეჭემის უშნოდ მოქნეულმა  
ვიქტორია ღამაჯუნესა




შოლანდია უარს ამავრებს



პორტუგალიამ  
უარი გასცემს

აი, ცხენი, გაიფიქრეს ფეხბურთელებმა, ცხენმა კი არ იცის,  
რომ ისინი გრავესენი, ჰენრიესენი და ჰენრესი არიან





# ტორპედო: რაღას ხდება

ქუთაისში საფეხბურთო საზოგადოებრივი ერთობა საპატიო სტუმარია — მოსკოვის „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი ვალერი ფილატოვი, რომელსაც მისი კოლეგა „ტორპედოს“ პრეზიდენტი ზურაბ ხინიკაძე მასპინძლობს. გუშინ ისინი მოსკოვიდან ქუთაისში ერთად ჩაფრინდნენ და ერთადვე...

რა საქმეებს გააკეთებენ ერთად ქუთაისელი და მოსკოველი პრეზიდენტები, ჩვენთვის ეს ჯერ უცნობია, თუმცა ნაღდა, რომ ფილატოვი ქუთაისში „ბიკენტას ქაბაბიზა“ არ ჩასულა. რუსმა სტუმარმა მასპინძლებთან ერთად ჯერ სალონებში „ტორპედოს“ ბაზა მოინახულა, მერე კი ფილატოვი, ხინიკაძე და მათი თანმხლებნი სავაზმოდ გაემშრნენ და იმ დროს მათი შეწყობა ცოტა უხერხულიც კი იყო.

და რაც შეეძლება, სულ ესაა: ფილატოვის ქუთაისში სტუმრობა კონკრეტულად „ტორპედოს“ და მის მომავალს უკავშირდება. იმასაც დაეძინა, რომ საქმეს ძალიან სერიოზული პირი უნახს.




თბილისი. 27 ივნისი. 18 საათი. ლოკომოტივი

## დილა — გარეკი

პირველი მატჩი 0:0

# გაგაგორებთ მაგათა

ყველა მოვლივართ თბილისში, დილაო, ო დილაო



სვალ თბილისში

სვალ თბილისში ახალი სეზონის პირველი ოფიციალური მატჩი გაიმართება. ინტერტოტოს თასის საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში გორის „დილა“ ბულგარულ „მარეკს“ უმასპინძლებს. გორელები გუშინ ჩამოვიდნენ თბილისში, სასტუმრო „ბატესტაში“ დაბინავდნენ და საღამოს 6 საათზე „ლოკომოტივის“ სტადიონზე ივარჯიშეს. ზურაბ ხორგუაშვილს რამდენიმე ტრავმირებული ჰყავს, რომელთაგან გაგა ჩიტაიას და რევაზ ხაჭაპურიძის თამაში გამორიცხებულია. ზაზა ლაცაბიძე და

ალბერტ საყვარელიძე კი მატჩამდე მომგობინდებიანო.

გორელებს სურდათ, ხვალინდელ მატჩზე დასწრება უფასო ყოფილიყო, თუმცა ასე არ მოხდა. ბილეთი 2 ლარი უდრება, მატჩი კი „ლოკომოტივზე“ 18 საათზე დაიწყება.

— მოედანზე დავიხოცებით და შემდეგ ეტაპზე მაინც გავალთ. სხვა გზა არ დაგვრჩენია, ქართველ გულშემოტიკვარს ამდენი წარუმატებლობა მოეზრდა — გვითხრა გუშინ ზურაბ ხორგუაშვილმა.

ხვალ თბილისში წამოსასვლელად გორელი ქომავლისთვის ქალაქის გამგეობამ თხუთმეტი ავტობუსი გამოჰყო, თან ამბობენ, რომ თუ საჭირო გახდა, მეტსაც დაქირავებენ.

შეგახსენებთ, „მარეკი“ — „დილას“ პირველი მატჩი ერთი კვირის წინ დუბნიცაში 0:0 დასრულდა და ახლა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ჩვენებისთვის ნებისმიერი ანგარიშით მოგება საკმარისი იქნება.

ასან ზალაგზარიძე

# პიტ ჯორჯია: პიდი-პოდი პორჩა

საქართველოს ჩემპიონი

„პიტ ჯორჯია“ დღეს 23 ფეხბურთელით ვერმანაში გაემგზავრება. საბოლოოდ გადაწყვედა, რომ გუნდს არ გაჰყვება გიორგი ადამია, რომელიც თვის ბოლოს ნაბერძენი ჩელნიში მიდის იქაურ „კამათან“ მოსალაპარაკებლად: „თავიდან ვიცოდი, რომ „კამათანს“ მხოლოდ გოციურიძის შემენა სურდა, თუმცა რეზო იქ რომ ჩავიდა, სიტყვა ჩემზეც ჩამოუდგეს. გოციურიძე კლუბში შექმნილი ვითარებით და პირობებით კმაყოფილი დარჩა, თანაც სჯერა, რომ „კამათან“ უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვებასაც შეძლებს. ასე რომ, ურიგო ვარიანტი ნაღდად არაა, ნაბერძენი ჩელნიში ჩასვლით კი ყველაფერს საბოლოოდ გავარკვევ“ — გვითხრა ადამიამ.

ვეტერინარებმა კლუბიდან აბარებული ერთი ფეხბურთელის მობრუნება მაინც მოახერხეს. „პიტ ჯორჯიას“ კაპიტანი ლაშა ნოზაძე გუნდს გერმანიაშიც გაჰყვება და ახალ სეზონშიც დაეხმარება.

უცნაური ვითარება იყო შექმნილი ვეტერინართა მეკარე მირზა მერლანის გარშემო. გაგასხენებთ, რომ მირზას ბოლნისის „სიონთან“ ოქროს

მატჩი არ უთამაშა და მაშინ ეს კლუბის ხელმძღვანელობამ მისი ავადყოფობით ახსნა, თუმცა ფეხბურთელი იქ იყო და არც ავადყოფობისა ეტყობოდა რამე. „პიტ ჯორჯიამ“ ათი დღეა, ვარჯიში განაახლა, მაგრამ მერლანი არსად ჩანს, მისი ასავალ-დასავალი არც თანაგრძელებმა იციან. ბუნებრივია, ის არც გერმანიაში წამსვლელთა სიაშია.

„პიტ ჯორჯიას“ მთავარმა მწვერთელმა მერაბ კოჭლაშვილმა კი მერლანის გაუჩინარებაზე ეს გვითხრა: „მირზა ეროვნულ ჩემპიონატის საუკეთესო მეკარეა და მან კარიერის უცხოეთში გაგრძელების სურვილი გამოთქვა, ლაპარაკია რუსეთზე ან უკეთეს საფეხბურთო ქვეყნებზე და მის წინსვლას ხელს ვერაირად ვერ შეეშლიდით“.

„პიტ ჯორჯიამ“ საბოლოოდ გადაწყვიტა ოლეგ გველეხიანის საკითხიც. პერმის „ამკარში“ გასასინჯად წასული ფეხბურთელი უკან დაბრუნდა და პერმელებთან კონტრაქტის გაგრძელება გამოირიცხა. ვეტერინართა მარცხენა ნახევარმცველი გუნდს გერმანიაში გაჰყვება.

დავით შაბაძე

საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილე კლუბები საბოლოოდ ჯერაც არ დადგინდნენ დაზუსტებულან. რამდენიმე კლუბს თავისი გასაქორციელება და პროფლიგის ახალ მოთხოვნებზე რომ არაფერი ეთქვათ, არსებობს სათუთი გახდომიანთ, რასაც, ცხადია, ფულიანი კლუბები ებლაუჭებენ და გაქორციელებულან საერთო ენის გამონახვას ლამობენ. ბევრი მარჩიელობის და მძიმე-მოთქმის მერე ასეთი წყვილი უკვე შეიქმნა: წყალტუბოს „სამგურალი“ და ზესტაფონის „მეტალურგი“ აქეთურ-იქითურზე კი შეთანხმდნენ, მაგრამ ახლა სიტყვა პროფლიგაზეა...

ოლონდ მანამდე იმერული ამბები უფრო კონკრეტულად ეთქვათ. საამისოდ გუშინ წყალტუბოს მერს და „სამგურალის“ ვიცე-პრეზიდენტს მამუკა საღარეიშვილს შევეხმიანეთ...

# გაგაგორებთ იმერული რიში?

## ზესტაფონი ხურორობზე მიდის

— თითქმის ყველაფერზე მოვილაპარაკეთ. ახლა მხოლოდ იურიდიული საკითხებია მოსაგვარებელი, სხვა პრობლემა, ფაქტობრივად, არ არსებობს.

— ზესტაფონის „მეტალურგი“ უკვე უმაღლესი ლიგაში ჩავთვალოთ?

— სანამ ყველაფერს არ გავაფორმებთ, მანამდე ნუ ვიჩქარებთ. რაღაც ნიუანსები კიდევ არის დასახვეწი.

— კერძოდ?

— ფედერაციაშიც ვიყავი და ჯერ ვერ გავიგე, რატომ არ შეუძლია „სამგურალს“ პირველ ლიგაში თამაში. მართალია, „მეტალურგი“ რეგიონალურ ლიგაში გავარდა. მაგრამ, ვფიქრობ, დიდი პრობლემა არ უნდა იყოს პირველ ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდა, თან ამის მაგალითი ხომ უკვე გვაქვს — პირველი ლიგის

დან ხუთი გუნდი უნდა გავარდნილიყო, მაგრამ საბოლოოდ სამი გავარდა. არ შეიძლება, ჩვენც ავადეთ რეგიონალურ ლიგაში?

— „მეტალურგი“ თქვენი პარტნიორობა როგორ იქნება?

— არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, არა მგონია, ამაზე შეთანხმება გავიჭვირდეს.

— ფეხბურთელებს თუ დაუთმობთ ზესტაფონელებს?

— დღე-დღეზე ვითამაშებთ ამხანაგურ მატჩს და „მეტალურგის“ მწვერთელს ვინმე თუ მოეწონება, წაიყვანს.

— „მეტალურგი“ იღებს ვალდებულებას, „სამგურალიც“ შეინახოს?

— ხომ ვითხარით, იურიდიული საკითხები შესათანხმებელია. ჩვენ, უბრალოდ, მოვილაპარაკეთ ადგილის გაცვლაზე.

— შეიძლება, „მეტალურგმა“

წყალტუბოში გამართოს საშინაო მატჩები?

— რატომაც არა?! ეს უკვე თავად ზესტაფონელების გადასაწყვეტია. ისე, ბაზის მშენებლობაზეცაა ლაპარაკი და ვნახოთ, საკმარისი საინტერესო პროექტებია.

— საბოლოოდ როდის გაირკვევა ეს ამბავი?


— ორ-სამ დღეში ალბათ უფრო მეტი მეცოდინება...

ფაქტობრივად, იგივე გვითხრა „მეტალურგის“ პრეზიდენტმა ილია კოკაიაძემ: „შეთანხმება მიღწეულია. ახლა მხოლოდ იურიდიული საკითხებია გასაფორმებელი. ამიტომ ჯერჯერობით არ ვიცი, „სამგურალი“ რა ფორმით იქნება ჩვენს სტრუქტურაში. ისე კი, წყალტუბოელები თანახმანი არიან, უმაღლეს ლიგაში ადგილი დაგვიტომონ“.

ასან ზალაგზარიძე

# დიმიტრი რამიშვილი: გარანტიას გაძლევთ, უმაღლეს ლიგაში აღვიღს ვერაირი იყიდის

თითქმის ერთი თვეა, რეგიონული ლიგის „მეტალურგის“ და უმაღლესი ლიგის „სამგურალის“ მოსალოდნელ გარიგებაზე ცხოვრებად საუბრობენ ქართული ფეხბურთის მიკროსამყაროში. „მეტალურგი“, რომლის სპონსორია „ფერო“, არ მალავს, რომ უმაღლეს ლიგაში თამაში სურს და ნადილს „სამგურალის“ მეშვეობით აიხდენს. მაგრამ, როგორ უყურებს ასეთ ჩანაფიქრს საქართველოს ფეხბურთის პროფესიული ლიგა? პროფლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს სწორედ ამ საკითხზე ვესაუბრეთ...



პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი

— რამდენად რეალურია ის, რომ „მეტალურგი“ უმაღლეს ლიგაში წყალტუბოს „სამგურალის“ მაგივრად ითამაშებს?

— „მეტალურგს“ და „სამგურალს“ პროფლიგისთვის ოფიციალურად არ მოუმართავთ, ასე რომ, გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. პროფლიგასთან შეთანხმების გარეშე არაფერი მოხდება.

— გასაგებია, მაგრამ თუ ასეთი თხოვნით მიმართავენ ეს კლუბები პროფლიგას, როგორი იქნება თქვენი პოზიცია?

— უმაღლეს ლიგაში ადგილის ყიდვა დაუშვებელია. თუმცა, თუ ეს გუნდები რაიმე სახით გაერთიანდებიან და ეს გაერთიანება ყველა მხარისთვის სასარგებლო იქნება, მაშინ ვნახოთ, რა როგორ იქნება.

— თუ გარიგება შედგა, „სამგურალი“ პირველ ლიგაში ითამაშებს?

— წინასწარ ვერაფერს ვეტყვი. პროფლიგის ამა-

სწინანდელ კონფერენციას „სამგურალის“ წარმომადგენელიც დაესწრო, მაგრამ ამ საკითხზე არანაირი განცხადება არ გაუკეთებია. ერთი სიტყვით, „თუ“-ზე ვერ ვილაპარაკებთ და გადაწყვეტილებებსაც ვერ მივიღებთ.

— უმაღლეს ლიგაში ადგილის ყიდვას არ გამოიცხადებ?

— თუ უმაღლეს ლიგაში ადგილის ყიდვაზე მიდგა საქმე, გარანტიას გაძლევთ, რომ ეს არ მოხდება. ინსტიტუტის დიპლომი შეიძლება, იყიდოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ინსტიტუტი დაამთავრე და ცოდნა მიიღე. დაახლოებით იგივე სიტუაციაა ამ შემთხვევაშიც — უმაღლეს ლიგაში ადგილი უნდა მიიპოვოს და არა იყიდოს. თუმცა, ერთხელაც დაეძინა, თუ საინტერესო და სასარგებლო გაერთიანება მოხდება, საკითხს განვიხილავთ.

დავით თავართილაძე

# იძ, სადას ლუდსან ცხვარი ასპია

გიგლიორთიკა

გუშინ უეფამ ახალი სეზონის საევროთასო წილისყრა მოახდინა საქართველოს დარი საფეხბურთო ქვეყნებისთვის, ჩვენ კი აგერ უკვე მერამდენედ გავვიჩინდა იმედი, რომ ქართული გუნდები ამ ჯერზე მაინც შეძლებენ თუნდაც ერთი საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვას.

საქართველოს ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ თავის ევროპულ ისტორიას ფარერებიდან იწყებს. ჩემპიონთა ლიგის პირველ შესარჩევ ეტაპზე მისი მეტოქე HB-ია და რწმენაც გვაქვს, რომ ვიტელები ფარერელებს დაჯაბნიან. მეორე ეტაპზე კი „ვიტ ჯორჯიას“ უნდა გაუჭირდეს — პოლონეთის ჩემპიონი „ვისლა“ შეხვდება.

ევროთასზე პირველად თამაშობს „თბილისიც“, რომელიც უეფას თასზე აზერბაიჯანული „შამქირით“ იწყებს. „შამქირს“ კი ქართველი მწვრთნელი, ბადრი კვარაცხელია ჰყავს.

და „დინამო“, ყველაზე გამოცდილი და მრავლისმნახველი ქართული გუნდი. ამ ეტაპზე „დინამოს“ ძველი სივრცვილის გახსენება და რევანშის აღება მოუწევს. მისი მეტოქე ბელარუსული ბატეა. ხომ გახსოვთ ბატე?



„ვიტ ჯორჯიას“ თამაში იძ, ამ სტადიონზე მოუწევს

## HB ტორსჰაჰნი



ბორსჰაჰნი, ფარერები  
დაარსდა 1904 წელს  
ქალაქის პრაზიდანტი: ბირგირ ანდარანი  
მთავარი მწვრთნელი: ჰინე ფარნანდანი  
სტადიონი: „ბორსჰოლანი“ (ტაჰალია 6 000)  
ფარერების ჩემპიონი (17): 1955, 1960, 1963-65, 1971, 1973-75, 1978, 1981-82, 1988, 1990, 1998, 2002-03  
ფარერების თასის მფლობელი (25): 1955, 1957, 1959, 1962-64, 1968-69, 1971-73, 1975-76, 1978-82, 1984, 1987-89, 1992, 1995, 1998  
ჩემპიონთა თასი: 4 მატჩი, 0 მოგება, 1 ფრ, 3 ნაგება, ბურთები 2:12  
თასების მფლობელი თასი: 8 მატჩი, 0 მოგება, 2 ფრ, 6 ნაგება, ბურთები 4:24  
უეფას თასი: 6 მატჩი, 1 მოგება, 1 ფრ, 4 ნაგება, ბურთები 5:17

**ფარერული** გუნდები ქართველებს ორჯერ გადაეყარნენ ევროტურნირებზე: 1996 წელს თასების თასზე „ბათუმს“, ხოლო 2002 წელს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოზე ქუთაისის „ტორპედომ“ B36 დაამარცხა — 5:2, 1:0.

1996 წელზე და „ბათუმზე“ კი ცალკე უნდა მოგახსენოთ, რადგან აჭარელები მაშინ სწორედ „ჰაფნარ ბოლტფელაგს“ ეთამაშნენ. ბათუმში მასპინძლებმა 6:0 იმარჯვეს, პირველი სამი გოლი თემურ ტულუშმა გაიტანა და ის მატჩი დღემდე რეკორდულია — ასეთი დიდი ანგარიშით ქართულ კლუბებს ევროტურნირებზე აღარ მოუვიათ.

„ჰაფნარ ბოლტფელაგს“ მაშინ მოყვარულთა გუნდი იყო, დღეს კი HB ნახევრადპროფესიულ კლუბად მოიხსენიება. „ჰაფნარის“ მთავარი სპონსორი „FOROYA BIOR“ გახლდათ, ფარერული ლუდის კომპანია, რომლის ლოგოსაც ცხვარი ამშვენებს — ფარერებს ხომ ცხვრის კუნძულსაც უწოდებენ. კლუბს კი კიდევ ოთხი სპონსორი ჰყავს.

HB ასწლოვანი კლუბი გახლავთ, რომელიც ევროტურნირებზე

ბზე 1993 წლიდან სისტემატურად თამაშობს — ფარერის კუნძულები უეფაში 1992 წელს მიიღეს. „ჰაფნარი“ ფარერების ჩემპიონი მეჩვიდმეტედ გახდა, თასი კი 25-ჯერ აუწვია.

გუნდებზეც ვთქვათ. „ჰაფნარის“ მწვრთნელი დანიელი ჰენი ფერნანდესია, ვისაც მანამდე „კოპენჰაგენში“, „ვიბორგში“ და „სილკე-ბორგში“ უთამაშია. ფერნანდესი 37 წლის გახლავთ და ფეხბურთს კვლავაც თამაშობს — „ჰაფნარში“ მე-11 ნომერია, მოკლედ, მოთამაშე-მწვრთნელია.

„ჰაფნარს“ ერთი ლეგიონერიც ჰყავს — რუმინელი მცველი ნიკოლოვარუ, ვინც ორი წელია, ჰაფნარელია — დოგარუ 36 წლისაა.

ფარერების ეროვნულ ნაკრებში „ჰაფნარიდან“ სამს უთამაშია: მეკარე ბირჰურ იოჰანსენს (1 მატჩი) და ნახევარმცველებს — რუნი ნოლსეს (3 მატჩი) და როვი იაკობსენს (18 მატჩი, 1 გოლი), ვინც „ჰაფნარის“ ლიდერად მიიჩნევა.

„ვიტ ჯორჯიას“ გასაგონად იმასაც ვიტყვით, რომ ფარერული მე-

ზავრობა იოლი არაა. ქუთაისელებმა იქიდან ავდრის გამო ძლივს გამოაღწიეს, ხოლო „ბათუმი“ საქართველოდან ჯერ რუსეთში, ივანო-ფრანკოვსკში ჩაფრინდა, იქიდან კოპენჰაგენში და მერე ფარერის კუნძულებზე.

კლუბის დირექტორატში კი „ჰაფნარს“ სულ ოთხი შტატი აქვს დაშვებული: პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, მდივნი და მოლარის.

„ჰაფნარის“ სტადიონი ხუთი ათას კაცს იტევს, ხოლო მოედნის საფარი ხელოვნურია.



ჰენი ფერნანდესი

**მერაბ კოჭლავშილი**, მეტოქეზე საკმაოდ მწირ ინფორმაცია მაქვს, თუმცა ვიცი, რომ „ჰაფნარში“ ხუთი ფეხბურთელი თამაშობს, თუმცა ჩვენ, ვალდებულები ვართ, ეს ბარიერი გადავლახოთ.

ძალიან გვსურდა, კუნძულზე სათამაშოდ პირდაპირ გერმანული შეკრებებიდან წავსულიყავით, მაგრამ „ჰაფნარის“ ხელმძღვანელობა ჩვენს შეთავაზებულ ვარიანტს არ დათანხმდა

„ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელი და პირველ მატჩს თბილისში გავმართეთ ასე რომ, გერმანიიდან თბილისში ჩამოვალთ. სხვათა შორის, თუ ვიმარჯვეთ, მეორე ეტაპზეც პირველ მატჩს პოლონურ „ვი-სლასთან“ შინ გავმართებთ. უეფაში ამ კენჭისყრას ჩვენი გუნდის ვიცე-პრეზიდენტი ხურგინი ესწრებოდა და მან გვითხრა, რომ „ჰაფნარის“ წარმომადგენლები არანაირ დათმობებზე არ წავიდნენ.

### ჩემპიონთა ლიგა 2004-2005

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა	
ვიტ ჯორჯია (საქართველო)	HB ტორსჰაჰნი (ფარერები)
რაიკიპიაჰიკი (ისლანდია)	შელბურნი (ირლანდია)
სკონტომ (ლატვია)	რილი (უელსი)
ფლორა (ესტონეთი)	ნოვა გორიცა (სლოვენია)
ჰიპ (ფინეთი)	ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)
პოპადა (მაკედონია)	ჰიუნეიკი (სომხეთი)
შერიფი (მოლდოვა)	ჟინეს ეში (ლუქსემბურგი)
სლიმა (მალტა)	კაუნასი (ლიტვა)
პიროკი ბრიანი (ბოსნია)	ნაფთი (აზერბაიჯანი)
გომელი (ბელარუსი)	ტირანა (ალბანეთი)

პირველი მატჩები 14 ივლისს, საპასუხოები — 21 ივლისს

### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

ვიტ ჯორჯია ან ტორსჰაჰნი	ვისლა (პოლონეთი)
პოპადა ან ჰიუნეიკი	შახტარი (უკრაინა)
აკოელი (კვიპროსი)	სპარტა (ჩეხეთი)
რუსენბორგი (ნორვეგია)	შერიფი ან ჟინეს ეში
ინანგ ბოისი (შვეიცარია)	ცრენა ზეზელა (სერბეთი)
ფლორა ან ნოვა გორიცა	კოპენჰაგენი (დანია)
პიროკი ბრიანი ან ნაფთი	ცსკა (რუსეთი)
ჟილინა (სლოვაკეთი)	დინამო (რუმინეთი)
ჰიპ ან ლინფილდი	მბაპი (თელ ავივი, ისრაელი)
სკონტომ ან რილი	ტრაზონსფორი (თურქეთი)
ბრიუბე (ბელგია)	ლოკომოტივი (ბულგარეთი)
გომელი ან ტირანა	ფარენცვაროში (უნგრეთი)
ჰაიდუკი (ხორვატია)	რაიკიპიაჰიკი ან შელბურნი
იურგორლანი (შვედეთი)	სლიმა ან კაუნასი

პირველი მატჩები 28 ივლისს, საპასუხოები — 4 აგვისტოს


### უეფას თასი 2004-2005

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა	
შამქირი (აზერბაიჯანი)	თბილისი (საქართველო)
ბატე (ბელარუსი)	დინამო (საქართველო)
ლევალია (ესტონეთი)	გომეიანსი (ირლანდია)
ფორდჰემსტი (უელსი)	ჰაფნარფიორდური (ისლანდია)
იოსტარსი (შვედეთი)	ლანსანტფორდი (უელსი)
პორტლანდი (ჩრდ. ირლანდია)	ჟალბირისი (ლიტვა)
B-68 ტოფტირი (ფარერები)	ვენტსპილსი (ლატვია)
ჰაპა (ფინეთი)	ეტცელა (ლუქსემბურგი)
ეკრანასი (ლიტვა)	დუდელანჟი (ლუქსემბურგი)
ვადუცი (ლიხტენშტაინი)	ლონგფორდი (ირლანდია)
B-36 ტორსჰაჰნი (ფარერები)	მეტალურგსი (ლატვია)
ალინასი (ფინეთი)	ბლანტორანი (ჩრდ. ირლანდია)
აპრანასი (ისლანდია)	ტვმპ (ესტონეთი)
სილეკსი (მაკედონია)	მარიბორი (სლოვენია)
პრიმორიე (სლოვენია)	მარსაშლოკი (მალტა)
ჟელეზნიჩარი (ბოსნია)	პენაროსა (სან მარინო)
დინამო (ალბანეთი)	ოცელული (რუმინეთი)
მოდრიცა (ბოსნია)	სანტა კოლომა (ანდორა)
ომონი (კვიპროსი)	სლოვა იუგომაგნატი (მაკედ.)
პარტიზანი (ალბანეთი)	ბირკირკარა (მალტა)
ილიჩევიცი (უკრაინა)	ბანანცი (სომხეთი)
შირაპი (სომხეთი)	ტირასპოლი (მოლდოვა)
ნისტრუ (მოლდოვა)	შახტიორი (ბელარუსი)
მიკა (სომხეთი)	ჰონედი (უნგრეთი)
ბისტრიცა (სლოვაკეთი)	ჟარაბახ-აზერსუნი (აზერბაიჯანი)

პირველი მატჩები 15 ივლისს, საპასუხოები — 21 ივლისს



# ქართველები ათენში



**ნიკოლოზ იოსაძე**  
დაიბადა 1985 წლის 31 აგვისტოს ფოთში  
წონა: 54 კგ (კატეგორია 51 კგ)  
სიმაღლე: 171 სმ  
ოჯახი: მშობლები და უფროსი ძმა  
**შედეგები**  
2004 ევროპის ჩემპიონატი (პულა, ხორვატია) — ვერცხლი  
საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონი და პრიზიორი

**ნიკა იოსაძე:** კარგად მასწავლებს, 24 თებერვალი იყო, ნახევარფინალის საგზური რომ მოვიპოვე. ის დღე საუკეთესოა ჩემს ცხოვრებაში. ისე ბედნიერად თავი არასოდეს მიგრძენია. თან პირველი ქართველი ვიყავი, ხუთჯერია დროსა რომ ვაფრიალე.

**კონსტანტინე კუპატაძე:** ევროპის ჩემპიონატზე ლიცენზიის წამოსაღებად ჩველი და იმედი მაშინაც არ განულებია, კენჭისყრა პირველსავე წრეში რუსი რაიმკულ მაღალბეკოვი რომ შემხვედრა. ცრურწმენების არ მჯერა და წინასწარ გამარჯვებაც არასოდეს მიწმუნია გარდა ამ ერთადერთი შემთხვევისა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ასე პროცენტით დარწმუნებული ვიყავი, რომ მაღალბეკოვს გავეცდებოდი. სხეებს კი, მგონი, უკვე ხელი ჰქონდათ ჩაქუჩული. ორი წლით ადრე პერმის ევროპის ჩემპიონატზე ფინალში გასასვლელი ბრძოლა მომიგო და მაშინვე ვიფიქრე, შემდეგ ჯერზე აუცილებლად გადავუხდი სამაგიეროს-მეთქი. დანაპირები აუესრულე და ლიცენზიამდეც მივედი, მაგრამ მერე ფავორიტად ყველამ მე შემრაცხა და ფსიქოლოგიურად მზად აღარ აღმოვჩნდი. ფინალში ვერგაძენე მწვრთნელი გამოუცდელიობას აბრალებს და მის და იზორიას ნაკლებ საუბარსაც ამით ინყებს, თუმცა ნიკას ცოტათი ცრურწმენებისაც სჯერა: თუ ერთი ფორმით მოვიგე, მეორე დღეს ვცდილობ, სხვა არ ჩავიცვა. ეგებ სასაცილოა, მაგრამ ცუდად მაქვს დაცდილი და რა ვქნა.

კუპატაძეც და იზორიაც სიდნეის ოლიმპიადის ცქერისას ჩაფიქრებულან სერიოზულად ათენზე. დიდ კრივზე კი მანამდეც ბევრჯერ უოცნებიათ.

**იოსაძე:** 7 წლის ვიყავი, სავარჯიშოდ ზაურ ანთიასთან რომ მიმიყვანეს. უფროსი ძმა მყავს და კრივზეც დადიოდა, მაგრამ მე მასზე მეტად მაშიდაშვილმა, პაატა გვასალიამ დამაინტერესა. თავიდანვე მონდომებით ვვარჯიშობდი და შედეგების ჩვენებაც ადრეული ასაკიდანვე დავიწყე. პატარა წარმატებაც კი დიდ მოკრივედ გახდომის რწმენას ზრდიდა. კერპებიც მყავდა — პაატა გვასალია და კობა გოგოლაძე. მოკრივე რომ გაეხდი, მათი დამსახურებაცაა. 2000 წლის ოლიმპიადამ ზომ საბოლოოდ დამარწმუნა არჩევანის სისწორეში. ვლადიმერ ჭანტურიას, მგონი, ჩემზე დიდი გულშემატკივარი მაშინ არ ჰყოლია. მედა-

ლი რომ გაინაღდა, გავიფიქრე, ოთხ წელიწადში ამისთვის მე ვიბრძოლებ-მეთქი. უფროსები უფრო პეკინზე ფიქრობდნენ, მაგრამ ჩემი პროგნოზი გამართლდა. ახლა მთავარი საფიქრალი უკვე ათენში წარმატებაა.

**კუპატაძე:** მე ცოტა გვიან მოვირგე ხელთათმანი, 11 წლის ვიყავი, იური გოგოლაძესთან მიყვანა მშობლებს კატეგორიულად რომ მოვთხოვე. შეიძლება დიდად არც გახარებიათ, მაგრამ წინააღმდეგი არ ყოფილან. ალბათ იცოდნენ, მაინც ჩემსას გავიტანდი, ან შეიძლება ეგონათ, ეს გატაცებაც მალე გადაამივლიდა, მანამდე ზომ ლამის ყველა სპორტი მოვიარე. კრივისადმი ინტერესი აღარ გამწვანებია.

პირიქით, ჩემი კერპების — რეი შუგარ ლეონარდისა და მაიკ ტაისონის ბრძოლებზე ყველაფერი შევისწავლე და კრივის კასეტების შეგროვებაც დავიწყე. გოგოლაძესთან 15 წლამდე ვივარჯიშე, მერე კი თბილისში წამოვედი და დღემდე ვერის ბაღში, ნოდარ ქიქავასთან ვემზადები. ჭანტურიას მედალმა მეც ძალიან გამახარა, მაგრამ სიდნეის ოლიმპიადით მთლად კმაყოფილი მაინც ვერ დავრჩი. ყველაზე მეტად ხურცილავას ვგულშემატკივრობდი.

ოლიმპიადამდე დარჩენილ დროში მესხადის ბიჭებს გასართობად, მართალია, ნაკლებად სცალიათ, მაგრამ გახსენებით კი სიამოვნებით იხსენებენ კრივის-

მიღმა სიამოვნებებს. კუპატაძე უფრო წყნარი ცხოვრების მოყვარული ყოფილა:

— ძალიან მიყვარს წყალი და საკუთარ თავთან მარტო დარჩენა. განსაკუთრებით შეჯიბრების წინ. ხმაურიანი გართობები მძლის. მუსიკასაც ძირითადად კლასიკას ვუსმენ. სხვა სპორტის სახეობებიდან ყველაზე უკეთ ბილიარდი და პინგ-პონგი გამომიძის. ბოლო დროს მანქანებმაც გამიტაცა. მიყვარს სისწრაფე, ოღონდ მარტო მაშინ, როცა საჭვსთან სხვა. ზის.

ნიკას ათენისთვის სამზადისი ყველაზე მეტად საყვარელი ადამიანის ხშირად ნახვაში უშლის ხელს: სამი წელია, შეყვარებული ვარ, მაგრამ ახლა ცოტა მოთმენა მიწვევს. თავისუფალ დროს ვცდილობ, სულ მასთან ვიყო. გართობით კი ხშირად ფეხბურთის თამაშით და სერფინგით ვერთობი. ფეხბურთისგან განსხვავებით, სერფინგს ცოტა ადრე შევეშვი. მესხადემ მოხოვა, არ დამეძვრეო. მას უდიდეს პატივს ვცემ და მინდა, კრივშიც ვგავდე.


ბიჭებს ქართველთა საათენო მანსებზეც ვკითხვით. მოსალოდნელ გვარებთან ერთად ერთმანეთიც დაასახელებს. თავიდან ხუმრობა გვევცინა, მაგრამ ერთხელაც თქვეს, ქართული კრივისთვის უმედილო ოლიმპიადა არ გველის და ვისაც წარმატების არ სჯერა, „გავგატაროსო“. ბოლოს კი ისევ თენგიზ მესხადის სიტყვებს შეგახსენებთ: „რეალურად ორივეს შეუძლია მედლისთვის ბრძოლა. მთავარია, ოლიმპიურ სპეციფიკას აუღონ ადლო და ცოტათი კენჭისყრამ გაუმართლოთ“ (სარბიელი. 25.06.2004).

ოთარ მაღლაკალიძე

სიდნეის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ქართულ კრივს ბევრი ჩავარდნას უწინასწარმეტყველებდა. შემადგენლობა მთლიანად გადახალისდა. გამოცდილმა თაობამ ასპარეზი უმცროსებს დაუთმო და ათენის ოლიმპიადის საკრივო პერსპექტივაც მიიჩრდილა. ნაკრების ახალმა მწვრთნელმა თენგიზ მესხადემ ნიჭიერი ბიჭები კი შემოიკრიბა, მაგრამ წინასწარი გათვლებით ოლიმპიური საგზურები მათ ერთი ოლიმპიადის გამოტოვებით, 2008 წლისთვის უნდა მოეპოვებინათ. ამ საქმის საათენოდ მოსწრებაში დარწმუნებულნი მხოლოდ მესხადე და მოკრივეები თუ იყვნენ.

შეძლეს კიდეც: თებერვალში ხორვატიაში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე 18 წლის ნიკა იზორიამ და 20 წლის კონსტანტინე კუპატაძემ ივაყაყეს და მედლებთან ერთად ხელს საათენო ლიცენზიებიც გამოაყოლეს

## მიზანძემ ამ ბიჭებს: ისინი უფროსებს არ უჯერებენ ათენი ამათთვის აღრამ, თქვენს ბიძიებზე და უცდნენ



**კონსტანტინე კუპატაძე**  
დაიბადა 1983 წლის 29 აპრილს ქუთაისში  
წონა: 63 კგ (კატეგორია 57 კგ)  
სიმაღლე: 170 სმ  
ოჯახი: მშობლები და ორი და  
**შედეგები**  
2002 ევროპის ჩემპიონატი (პერმი, რუსეთი) — ბრინჯაო  
2004 ევროპის ჩემპიონატი (პულა, ხორვატია) — ბრინჯაო  
საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონი და პრიზიორი



პინუს-პინუსი



ლონდონიდან

კაცები
პირველი ნაპი
28 ივნისი (2, აშშ) — უანგ იუ...

მეორე ნაპი
როდრიგო ფერნანდესი (1, შვეიცარია)
— ალესანდრო ფალა (კოლუმბია)...

პალატი
პირველი ნაპი
ამელი მონტანო (4, საფრანგეთი)
— ელენა კოსტანიჩი (სორგატია)...

ობაბა (იაპონია) 6:1, 6:4; მარია შერაპოვა (13, რუსეთი) — ანე ვიო...

აილოტზე მოხდა ერთი ამბავი, რის გამოც მერე ტურნირის ორგანიზატორები...

ტაივანელ ვანს, ვინაც პირველი მისკუნძულელია, 1968 წლიდან დღემდე ანუ...

ურაცხავს ამ გემის ევპაც მათ ავლობა ჩრდილ უნდა დაამტკიცოს...

ცხადია, უიგზლონი ცხრაგზის ჩემპიონს შტიხის ეს განცხადება მაგრად არ ევასა, მას ქილიკით...

ლემან კალაურაძე
ქ. რეზვანოვი
ილანდია
პრემიერლიგა. XVIII ტური
უოთარჯორი 02 დარი სიბი
სანტ პატრიკი 12 ზელანდი

